

Geo დაიჯესტი

№12 / დეკემბერი, 2021 წ.



სარჩევი

"აღმოსავლეთ პარტნიორობის" სამიტის მთავარი შედეგები.....	3
ნორვეგიის არმია ჩრდილოეთში ომის წარმოებისთვის ვარჯიშობს.....	4
რუსეთი განაგრძობს სამხედრო ტექნიკის მობილიზებას უკრაინის საზღვართან.....	5
მაკროსოფტის სპეციალისტებმა უკრაინის სამთავრობო კომპიუტერებში ე.წ. MALWARE აღმოაჩინეს.....	6
ასოცირებული ტრიო და აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტი.....	7

ხათუნა ბურკაძე, „ჯეოჯესტის“ ამერიკისმცოდნეობისა და ევროატლანტიკური მიმართულების დირექტორი

"აღმოსავლეთ პარტნიორობის" სამიტის მთავარი შედეგები



https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/news/eastern-partnership-summit-takes-place-brussels-2021-12-15_en

2021 წლის 15 დეკემბერს "აღმოსავლეთ პარტნიორობის" სამიტი გაიმართა. სამიტის მონაწილეებმა მიიღეს დეკლარაცია, რომელიც აღიარებს „ასოცირებული ტრიოს“ ინიციატივას, გააძლიეროს თანამშრომლობა ევროკავშირთან. ასევე, დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მნიშვნელოვანია საქართველომ, მოლდოვამ და უკრაინამ ეფექტიანად განახორციელონ ასოცირების შეთანხმებებით, მათ შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებები. ეს ხელს შეუწყობს აღნიშნული ქვეყნების ევროკავშირთან მეტად დაახლოებას, როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით.

ევროკავშირმა გამოხატა მტკიცე მხარდაჭერა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნების სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი. ევროინტეგრაციის გზაზე რეფორმების განხორციელება და თანამშრომლობის განმტკიცება რჩება აუცილებელ წინაპირობად პროგრესისა და მხარდაჭერის გაზრდისათვის.

ევროკავშირის ლიდერები მიიჩნევენ, რომ დესტაბილიზაციის შემცველი მოქმედებები, რომლებიც ხელყოფენ საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ

პრინციპებს, მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის საფრთხეს წარმოადგენენ.

ევროკავშირის ახალი დღის წესრიგი საწყის ეტაპზე მოიცავს 2.3 მილიარდ ევროს. თუმცა, რეგიონალური ეკონომიკური და საინვესტიციო გეგმის ფარგლებში, 17 მილიარდ ევრომდე თანხის მობილიზებაა გათვალისწინებული. აღნიშნული დღის წესრიგის მიზანია, ხელი შეუწყოს პარტნიორ სახელმწიფოებში დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებასა და ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების შექმნას. ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვა, კანონის უზენაესობა, მართლმსაჯულების სისტემის რეფორმირება და კორუფციასთან ბრძოლა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მთავარ ამოცანებად რჩება, მათ შორის ეკონომიკური და საინვესტიციო გეგმის კონტექსტშიც. ევროკავშირი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს პრინციპზე „მეტი მეტისათვის“, რაც ნიშნავს მეტი შესაძლებლობების მიცემას იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც უკეთ შეძლებენ რეფორმების დღის წესრიგის პრაქტიკაში განხორციელებას. შესაბამისად, „ასოცირებული ტრიოს“ მიერ რეფორმების გაგრძელება და მათი წარმატებით განხორციელება 2023 წლის სამიტზე ევროპული პერსპექტივის მეტად გამოკვეთის შესაძლებლობად უნდა იქცეს.

საბოლოო ჯამში, სამიტის შედეგების ანალიზის საფუძველზე უნდა ითქვას, რომ ევროკავშირი საქართველოში რეფორმების მხარდაჭერას აგრძელებს, რომელიც აუცილებელი წინაპირობაა ჩვენი ევროპული მომავლისათვის.

გიორგი ანთაძე, „ჯეოქეისის“ თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების დირექტორი

ნორვეგიის არმია ჩრდილოეთში ომის წარმოებისთვის ვარჯიშობს



ბოლო წლებში რუსეთის მხრიდან გააქტიურებული აგრესიული მოქმედებები შეშფოთებას იწვევს სკანდინავიის ქვეყნებშიც. ბოლო პერიოდში გააქტიურდა ასევე საუბრები შვედეთისა და ფინეთის ნატოში გაწევრიანებაზე. ამასთან ერთად, ჩრდილოეთ არქტიკულ მიმართულებაზე უსაფრთხოების საკითხები სულ უფრო აქტუალური ხდება გლობალური დათბობის მიერ გამოწვეული ყინულების დნობის პარალელურად.

ნორვეგიაში ფართომასშტაბიანი სამხედრო წვრთნები დაიწყო, რომელიც არქტიკულ და ჩრდილოეთ ზონაში სამხედრო ძალების გამოყენების თავისებურებებისკენ არის მიმართული.

ამასთან ერთად, ნორვეგიაში ბოლო წლებში აქტიურად განიხილება დამატებითი სამხედრო ძალების მუდმივი განთავსების გაზრდის აუცილებლობა ჩრდილოეთ მიმართულებაზე.

წვრთნების გამართვას წინ უძღოდა ნორვეგიისა და დიდი ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრების შეხვედრა, სადაც რეგიონალური და გლობალური უსაფრთხოების საკითხებიც განიხილეს.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული სწავლება მოსკოვსა და დასავლეთს შორის მიმდინარე მოლაპარაკებების ფონზე დაიწყო, რაც მოსკოვის მხრიდან აღქმულია როგორც პროვოკაციული ნაბიჯი.

რუსეთი განაგრძობს სამხედრო ტექნიკის მობილიზებას უკრაინის საზღვართან



მიუხედავად ყაზახეთში შექმნილი სიტუაციისა და რუსეთის აქტიური ჩართულობისა, მოსკოვი კვლავინდებურად განაგრძობს სამხედრო ტექნიკისა და ნაწილების უკრაინის საზღვართან მობილიზაციას.

უკანასკნელი კვირის განმავლობაში რუსეთმა ციმბირიდან და შორეული აღმოსავლეთიდან დასავლეთის რეგიონებისკენ გადაისროლა ასობით ერთეული სამხედრო ტექნიკა, მათ შორის რეაქტიული სისტემები „გრადი“ და „ურაგანი“, იტყობინება ანალიტიკური პროექტი Conflict Intelligence Team-ი, რომელმაც სოცსელეებში გამოქვეყნებული ვიდეოები შეისწავლა. ამასთან ერთად დამატებით საზენიტო და სარაკეტო კომპლექსების გადასროლა ხორციელდება რუსეთის შორეული აღმოსავლეთიდან, მათ შორის საუბარია “ისკანდერის“ ტიპის რაკეტების არის.

არსებული ანალიზის მიხედვით, რუსული ტექნიკა იგზავნება ბურიატიიდან, იმიერბაიკალის მხარიდან, ამურის ოლქიდან, ასევე პრიმორიეს მხარიდან. მათი ინფორმაციით, შეიარაღება დიდი ალბათობით ეკუთვნის აღმოსავლეთის სამხედრო ოლქის ოთხ არმიას.

აღნიშნული მოვლენების პარალელურად, ვრცელდება ინფორმაცია, რომ ბელორუსის პრეზიდენტმა ალექსანდრ ლუკაშენკომ დაამტკიცა რუსეთ-ბელორუსიის სამხედრო ძალების გამოყენებით ერთობლივი წვრთნების გამართვის შესახებ რომელსაც "Союзная решимость-2022" ერქმევა. სამხედრო სწავლება თებერვალში, ერთ დროულად ორ მიმართულებაზე ბელორუსიისა და პოლონეთის საზღვარსა და უკრაინა-ბელორუსიის საზღვარზე გაიმართება.

აღნიშნული მოვლენა პირდაპირ განიხილება რუსეთის მხრიდან უკრაინის წინააღმდეგ მუქარის მორიგ ნაბიჯად, განსაკურებით მოსკოვსა და დასავლეთს შორის მიმდინარე მოლაპარაკებების ფონზე.

როგორც მოსალოდნელი იყო, მოსკოვი განაგრძობს სამხედრო ძალის კონცენტრირებას უკრაინის გარშემო, რაც თავის მხრივ მოსკოვის მხრიდან დასავლეთზე ზეწოლისთვისაც გამოიყენება.

მაკროსოფტის სპეციალისტებმა უკრაინის სამთავრობო კომპიუტერებში ე.წ. malware აღმოაჩინეს



მაკროსოფტის უსაფრთხოების სპეციალისტებმა უკრაინის სამთავრობო კომპიუტერებში ე.წ. malware პროგრამა აღმოაჩინეს, რომელიც პოტენციურად გაცილებითი დიდი ზიანის მიყენება

შეუძლია ვიდრე ეს ახლახან უკრაინაზე განხორციელებული ფართომასშტაბიანი კიბერ შეტევის დროს მოხდა.

გავრცელებული ინფორმაციით, აღნიშნული პროგრამა 13 იანვარს ამოაჩინეს, მიმდინარე კიბერ შეტევის პარალელურად. იგი ე.წ. blackmail სახით ინახებოდა და პოტენციურად კომპიუტერულ სისტემებში ინფორმაციის სრული განადგურება შეეძლო.

უკრაინამ ცოტა ხნის წინ გაავრცელა ინფორმაცია, რომ აღნიშნული კიბერშეტევის უკან რუსეთი იდგა. ზოგიერთი ანალიტიკოსის განცხადებით, აღნიშნული ვირუსის გამოყენებას რუსეთი უკრაინაზე თავდასხმის წინ გამოყენებას აპირებდა.

მიმდინარე გამოძიების მიხედვით უკრაინის სამთავრობო სისტემაში ათობით კომპიუტერია აღმოჩენილი უკვე სადაც მოხდა მავნე პროგრამის გავრცელება და არაა გამორიცხული კიდევ ბევრი აღმოჩნდეს.

უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის განცხადებით, პროგრამა ძალიან გავს იმას რაც რუსული დაზვერვის მხრიდან წარსულში გამოიყენებოდა, რაც საფუძვლიან ეჭვს ჩენს, რომ ყველაფრის უკან კვლავაც მოსკოვი დგას.

როგორც ჩანს, უკრაინის ირგვლივ დამძიმებული სამხედრო-პოლიტიკური გარემოს პარალელურად, რუსეთი აგრძელებს ჰიბრიდულ აქტივობების გამოყენებას კიევის წინააღმდეგ.

ანი შანიძე, „ჯეოქეისის“ უმცროსი მკვლევარი

ასოცირებული ტრიო და აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტი



როგორც ვიცით 2021 წლის 30 ნოემბერს, საქართველოს პრემიერმინისტრი, ირაკლი ღარიბაშვილი კოლეგებთან, უკრაინელ დენის შმიგალთან და მოლდოველ ნატალია გავრილიცასთან ერთად ევროპული საბჭოს პრეზიდენტს, შარლ მიშელს და ევროკომისიის პრეზიდენტს, ურსულა ფონ დერ ლაიენს შეხვდა, სადაც მხარეებმა აღმოსავლეთ პარტნიორობის 15 დეკემბრის სამიტის

შესახებ იმსჯელეს. პრემიერმინისტრებმა ხაზი გაუსვეს, რომ სამიტმა სამივე ქვეყანას დიფერენციაციისა და მეტი-მეტისთვის პრინციპების საფუძველზე ახალი შესაძლებლობები უნდა გაუხსნას.

საქართველოს პრემიერმინისტრმა ყურადღება გაამახვილა საქართველოს მთავრობის ამბიციურ გეგმაზე, რომელიც 2024 წელს ევროკავშირის სრულფასოვან წევრობაზე ოფიციალური განაცხადის გაკეთებას გულისხმობს.

15 დეკემბერს ბრიუსელში გაიმართა აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტი, სადაც ერთობლივ დეკლარაციაში ნათქვამია, რომ ევროკავშირი აღიარებს ასოცირებული პარტნიორების სამეულის მონდომებას, გააღრმავონ თანამშრომლობა ევროკავშირთან.

დოკუმენტის თანახმად, ასოცირებული სამეული ევროკავშირთან ერთად გამოავლენს „სექტორული თანამშრომლობის გაღრმავების“ შესაძლო სფეროებს, როგორცაა მწვანე და ციფრული გარდაქმნის, მათლმსაჯულების, ენერგოუსაფრთხოების, სტრატეგიული კომუნიკაციისა და ჯანდაცვის მიმართულებები.

დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის პლატფორმა ეფუძნება კონსტრუქციულ პარტნიორობას. იგი არ არის მიმართული ვინმეს წინააღმდეგ, პირიქით იგი შექმნილია იმისათვის, რომ წვლილი შეიტანოს სამეზობლოს ქვეყნებში მშვიდობისა და კეთილდღეობის მიღწევის პროცესში.